



თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
TBILISI HUMANITARIAN TEACHING UNIVERSITY

ჰუმანიტარული ფაკულტეტის საბჭო

სხდომის ოქმი №03

ქ. თბილისი

12 თებერვალი 2016 წლის

სხდომას ესწრებოდნენ:

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: პროფესორი მაკა კაჭარავა

საბჭოს წევრები: პროფესორები: ვალენტინა საყვარელიძე, ირინა ჯობავა, მარინა ბალიაშვილი, რუსუდან ესებუა, ასოცირებული პროფესორები: კახა კვაშილავა, ირმა ზაქარაია, მაია ალაია, ინგა მორგოშია, ირმა გულორდავა, ელენე ჩომახიძე, ლია ქურხული.

სტუდენტები: გვანცა ქართველიშვილი, მარიამ გოგილავა, მარიამ ნოდია, მარიამ გოიაევა.

სხდომის მდივანი: გაიანე გრიგორიანი

დღის წესრიგი:

1. ჰუმანიტარული ფაკულტეტის ევროპეისტიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის თინიკო დიაკონიძის სტუდენტის უფლებებში აღდგენის შესახებ.
2. სააკრედიტაციოდ წარდგენილი ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მოდიფიცირების საკითხი.

1. მოისმინეს: თჰუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის პროფესორ მაკა კაჭარავას ინფორმაცია, ჰუმანიტარული ფაკულტეტის ევროპეისტიკის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ. მომხსენებელმა საბჭოს წევრებს გააცნო თინიკო დიაკონიძის შესახებ ინფორმაცია, რომელმაც დაფარა დავალიანება და შეიძლება მისი აღდგენა სტუდენტის უფლებებში. (თინიკო დიაკონიძე (პირადი №01019081078) – ჰუმანიტარული ფაკულტეტის, ევროპეისტიკის საბაკალავრო პროგრამაზე, 85 (ECTS) კრედიტით გაზაფხულის მე-4 სემესტრიდან.

აზრი გამოთქვას: პროფ. ი.ჯობავამ, ასოცირებულმა პროფესორმა კ.კვაშილავამ, ასოცირებულმა პროფესორმა ი. ზაქარაიამ. და სხვ.

2. დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ერთ-ერთი ხელმძღვანელის რუსუდან ესებუას ინფორმაცია სააკრედიტაციოდ წარდგენილი ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მცირედით მოდიფიცირების შესახებ. მან მოახსენა საბჭოს წევრებს, რომ ზოგიერთ სილაბუსში განახლდა ლიტერატურა და პროგრამაშიც მცირედით განახლდა ტექსტური ნაწილი და საბჭოს წევრების მოწონების შემთხვევაში ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მოდიფიცირებულ ვარიანტს მიეცემა შემდგომი მსვლელობა.

აზრი გამოთქვას: პროფესორმა მ. კაჭარავამ, ნ.ცხვედაძემ, მ.ბალიაშვილმა.

ჰუმანიტარული ფაკულტეტის საბჭომ გადაწყვიტა:

1. აღუდგეს სტუდენტის სტატუსი თინიკო დიაკონიძეს (პირადი №01019081078) – ჰუმანიტარული ფაკულტეტის ევროპეისტიკის საბაკალავრო პროგრამაზე 85 ECTS კრედიტით გაზაფხულის მე-4 სემესტრიდან.
2. მოწონებულ იქნას ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მოდიფიცირებული ვარიანტი და მიეცეს შემდგომი მსვლელობა.
3. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს თჰუ ვებ-გვერდზე.
4. ეთხოვოს თჰუ რექტორს აღნიშნული ცვლილება აისახოს ბრძანებაში.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე:

სხდომის სხდომის მდივანი:



/მ.კაჭარავა/

გაიანე გრიგორიანი